საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 144

30 04.2013 წ.

ქ. თბილისი

თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფორმები დანართი №1 - ის, დანართი №2 - ისა და დანართი №3 - ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცენტრის დირექტორის 2012 წლის 14 მაისის №369 ბრძანება „თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ".
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი ელენე ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა - NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT - LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - 202330566